

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სელნაწერის უფლებით

ნათია აღლაძე

**სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
დეტერმინანტი**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2019

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტზე, საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **შოთა შაბურიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ოფიციალური შემფასებლები: **დავით სიხარულიძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

შორენა ქურდაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ფაკულტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2019 წლის 19 ივლისს, 15:00 საათზე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის
კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2; თსუ X კორპუსი, აუდიტორია №206

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ეკონომიკის დოქტორი

მ. ლობჯანიძე

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება	4
თემის აქტუალობა.....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	5
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	7
ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....	7
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა	9
კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია	9
სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.....	9
ნაშრომის მოკლე შინაარსი	10
გამოქვეყნებული შრომები	23

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: საზოგადოების სოციალურ პრობლემებზე ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების გამახვილება, ეკონომიკურ განვითარებაში ადამიანის და სოციალური ფაქტორების როლის ახლებური გააზრება, პირველ რიგში, გლობალიზაციას უკავშირდება. თანამედროვე კომპანიები ერთდროულად მრავალ ბაზარზე საქმიანობენ, რისთვისაც მათ ესაჭიროებათ კონკურენციის შესახებ ფართო ცოდნა და მის საფუძველზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გზების დადგენა. ცალკეული კორპორაციული გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია გლობალური პრობლემების შესახებ წარმოდგენა, ასევე, გააზრება იმ შიგა ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციებისა, რომლებიც ფირმის სამოქმედო ქვეყნებში მიმდინარეობს. ეს ტენდენციები ზემოქმედებს არა მარტო ბიზნესის მოცულობაზე, კონკურენტულ სტრატეგიაზე, არამედ განსაზღვრავს მოცემული საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობას.

გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი აახლოებს ეროვნული კულტურების, ეკონომიკური სისტემების, სახელმწიფოების გამყოფ საზღვრებს და უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკაში ადამიანური, ფიზიკური და სოციალური კაპიტალის დაგროვებაზე. ლოკალური ბაზრების გლობალურ მასშტაბებამდე გაფართოების მიუხედავად, პირადი კონტაქტების და სოციალური ქსელების როლი ეკონომიკური ეფექტიანობის ამღვლეაში არ შემცირებულა, პირიქით, სრულიად ახალი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნებმა აქტიურად მიმართეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას. 1950-1960 წლებში კაპიტალის მოძრაობამ გლობალური ხასიათი შეიძინა, მასში განვითარებადი ქვეყნებიც აქტიურად ჩაერთვნენ რეციპიენტის სახით. ამ პროცესმა მკვლევარი ეკონომისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და მრავალი თეორიაც ჩამოყალიბდა. მეცნიერების ყურადღება ძირითადად გადატანილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტების გამოვლენაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ბიზნესის კლასიკური ფორმაა და ის ორი ქვეყნის სუბიექტის მონაწილეობას გულისხმობს, ამიტომ მასზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს

დონორი და რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა. ასევე, თანამედროვე პირობებში, პუი-ს მოზიდვა დაკავშირებულია ინვესტორსა და ინვესტიციის მიმღებს შორის ურთიერთობასთან, რის შედეგადაც იდება ეკონომიკური გარიგებები, სწორედ ამიტომ, პუი-ზე, როგორც სოციალურ პროცესზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ნდობა, პირადი და საქმიანი ქსელები, ქცევის ნორმები და სტანდარტები, ინვესტორისა და ინვესტიციის მიმღების შეხედულებები, რასაც მათი კულტურა განსაზღვრავს. აღნიშნული ფაქტორების, როგორც პუი-ის დეტერმინანტების გათვალისწინებას მიყვავართ სოციალური კაპიტალის ფენომენის განხილვის აქტუალურობასა და აუცილებლობამდე.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: სოციალური კაპიტალის ცვლადების საფუძვლიანი ანალიზი და საერთაშორისო ბიზნესის კვლევებში ინკორპორირება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც ცდილობს გლობალური ბიზნესის სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სუბიექტად ინტეგრირებას. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით კი მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია საქართველოში სოციალური კაპიტალის არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება. სამეცნიერო ლიტერატურა განიხილავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა დეტერმინანტს, თუმცა მწირია კვლევები ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოიცავს სოციოლოგიურ ფაქტორებს. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზისა და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა მონაცემების დამუშავებით. ამრიგად, მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ნაშრომი, გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას. კვლევა ატარებს პოზიტიურ ხასიათს, რომელშიც გამოყენებულია სხვადასხვა ანალიტიკური ხერხები.

კვლევის მიზანი და ამოცანები: ნაშრომის მიზანია, გამოვავლინოთ თუ რა მექანიზმების მეშვეობით ახდენს სოციალური კაპიტალი გავლენას პუი-ზე, დავადგინოთ სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და საქართველოში და განვსაზღვროთ, თუ

რამდენად შეიძლება პუი-ის მოზიდვის პოლიტიკის სპეციფიკა აიხსნას სოციალური კაპიტალთან დაკავშირებული კონცეფციებით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია შემდეგ ამოცანებზე:

- სოციალური კაპიტალის კონცეფციების ანალიზი;
- სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდების შესწავლა;
- პუი-ს თეორიების განხილვა;
- სოციალური კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ურთიერთქმედების მექანიზმების გამოვლენა;
- საქართველოში სოციალური კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი;
- ნეგატიური სოციალური კაპიტალის სპეციფიკის შესწავლა საქართველოში;
- პუი-ს სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება და ჰიპოთეზების შემოწმება;
- კვლევის შედეგების სისტემატიზაცია და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევს საგანია სოციალური კაპიტალის და მასთან დაკავშირებული კონცეფციების (პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება) პუი-ზე ზემოქმედების მექანიზმების ეფექტიანობა.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად ავსახოთ საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებები, კვლევის ობიექტად შევარჩიეთ, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და უშუალოდ საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მათი დინამიკა და სტრუქტურა; მეორე მხრივ, სოციალური კაპიტალი და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ისეთი კონცეფციები, როგორცაა: პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება. სწორედ ამ ორი მხარის და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ის ძირითადი მექანიზმები რომლითაც სოციალური კაპიტალი გავლენას ახდენს პუი-ის ნაკადებზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევა დაეფუძნება სოციალური კაპიტალისა და პუი-ის ურთიერთკავშირის შესახებ ცნობილი უცხოელი ავტორების, ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, ლევატუმის ინსტიტი) ფუნდამენტურ გამოკვლევებსა და მეთოდებს.

საკითხის სირთულისა და კომპლექსურობის გამო ნაშრომში გამოყენებულია სისტემური, კომპლექსური და დიფერენცირებული მიდგომები, სხვადასხვა სახის – ისტორიულის და ლოგიკურის ერთიანობის, დიალექტიკური, მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის, მათემატიკურ-სტატისტიკური და ა.შ. მეთოდები. არსებული თეორიების და წამყვანი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის და სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები, რომლებიც შემოწმდა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. მიდგომა, რომელსაც ეფუძნება ნაშრომი გულისხმობს არსებული თეორიის (ჰიპოთეზის) ემპირიული კვლევის საშუალებით შემოწმებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: სოციალური კაპიტალის, პიროვნული თავისუფლების, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის, დანაშაულის დონის, დაცულობა - უსაფრთხოებისა და პუი-ს კომპლექსურ ანალიზს ქართულ აკადემიურ წრეებში აქამდე ჯერ არ დათმობია სათანადო ყურადღება, ხოლო მათი ურთიერთკავშირები არცერთ ემპირიულ კვლევაში არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ზოგად მეცნიერულ სიახლეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური კაპიტალის, მასზე მოქმედი ცვლადებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპლექსური სისტემური ანალიზი წარმოადგენს. კერძოდ:

- გაანალიზებულია და ერთმანეთისგან თვისებრივად გამიჯნულია სოციალური კაპიტალის პუი-ზე ზემოქმედების კონცეფციები;
- დადგენილია, რომ სოციალური კაპიტალი წარმოადგენს პუი-ზე მოქმედ არსებით ფაქტორს;
- გამოვლენილია, რომ სოციალური კაპიტალის ცვლილება პუი-ზე აისახება 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდის შემდეგ. ეს ის დროა, რომელიც აუცილებელია ბიზნეს პარტნიორების და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბების,

სოციალურ ქსელში გაერთიანების, მათ შორის საქმიანი კავშირ-
ურთიერთობების გამყარების, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის
მომზადებისა და ამოქმედებისათვის;

- დადგენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ძლიერი მოქალაქეობრივი უფლებები და თავისუფლებები ხასიათდებიან სოციალური კაპიტალის მაღალი დონით;
- დასაბუთებულია, რომ სოციალური კაპიტალი ზრდა საჭიროებს ქვეყანაში ადამიანების არჩევანის, გამოსატვის, მოქმედების, რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფას, უმცირესობებისა და იმიგრანტების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განვითარებას, ასევე ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლებასა და პიროვნული დაცულობის ხარისხის სრულყოფაზე მუდმივ ზრუნვას;
- დადგენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესება, ის თუ რამდენად დაცულია მეწარმე და ზოგადად მოქალაქე ძარცვისა და ქურდობისაგან, პირდაპირ აისახება პუი-ის მოცულობაზე;
- გამოვლენილია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კარგად მართული დემოკრატიული საზოგადოება, ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა, გამართული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი არჩევნები პირდაპირ კავშირშია სოციალური კაპიტალის ისეთ დეტერმინანტებთან, როგორცაა: მოხალისეობა, ინდივიდების ან ინსტიტუტების მიმართ ნდობა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: განხორციელებული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები საქართველოში სოციალური კაპიტალის განვითარების შესახებ და შევაფასოთ, რამდენად შეუძლია ხელი შეუწყოს მან გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებასა და პუი-ის შემომავალი ნაკადების ზრდას. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები, შეავსებს და გააღრმავებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიულ ცოდნას გარდამავალ ეკონომიკაში პუი-ის ძირითადი დეტერმინანტების შესახებ. სოციალურ კაპიტალსა და პუი-ს შორის კავშირურთიერთობათა თავისებურებების შესახებ ინფორმაცია საყურადღებო იქნება სამთავრობო დაწესებულებებისათვის პუი-ის მოზიდვის პროგრამების შემუშავებისას. ასეთი პროგრამები შეიძლება მიზნად ისახავდეს ინსტიტუციური და ბიზნეს ქსელების განვითარებას, ინსტიტუტების მიმართ ნდობის ამაღლებას, კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ნეგატიური სოციალური კაპიტალის შემცირებას, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას და ა.შ.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია: სადისერტაციო ნაშრომი განხილული და მოწონებული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე (2019 წლის 10 იანვრის სხდომის (ოქმი №1). დისერტაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოხსენებები გაკეთდა 2 საერთაშორისო კონფერენციაზე, ხოლო დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია 4 სამეცნიერო სტატიაში.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ძირითადი ტექტი შეადგენს A4 ფორმატის, კომპიუტერიზე ნაბეჭდ 180 გვერდს. თემასთან ერთვის 225 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალი

თავი 1. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სოციალური კაპიტალის ზემოქმედების კვლევის საფუძვლები

- 1.1 სოციალური კაპიტალის კონცეფცია
- 1.2 სოციალური კაპიტალის შეფასების მეთოდები
- 1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიები
- 1.4. სოციალური კაპიტალის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ზემოქმედების მექანიზმი

თავი 2. სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

- 2.1 სოციალური კაპიტალის სტრუქტურა საქართველოში
- 2.2 ნეგატიური სოციალური კაპიტალი საქართველოში
- 2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

- 3.1. კვლევის მეთოდოლოგია
- 3.2. ჰიპოთეზების შემოწმება

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი - „სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტი“ ეძღვნება სოციალური კაპიტალის და მასზე მოქმედი ფაქტორების პუი-სთან ურთიერთქმედების ანალიზს.

შესავალში განხილულია თემის აქტუალურობა, საკითხის მეცნიერული დამუშავების დონე, კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი, ობიექტი და ჰიპოთეზა, საკითხის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე და მოსალოდნელი შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თავში** - “პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სოციალური კაპიტალის ზემოქმედების კვლევის საფუძვლები”, შესწავლილია

სოციალური კაპიტალის კონცეფციასთან დაკავშირებული ცნობილი მეცნიერების მოსაზრებები და შეხედულებები. გაანალიზებულია სტრუქტურული და კოგნიტური სოციალური კაპიტალის ფორმირების მიკრო, მეზო და მაკრო დონეები. აღწერილია შემაკავებელი და გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის სპეციფიკა. განხილულია სოციალური კაპიტალის შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, მისი გაზომვის ხერხები, საკუთრების ფორმებსა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი, განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი თეორიები. უცხოელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზზე დაყრდნობით გამოკვეთილია სოციალური კაპიტალის და მასთან დაკავშირებული კონცეფციების (პიროვნული თავისუფლება, სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა, დანაშაულის დონე, დაცულობა და უსაფრთხოება) პუი-ზე ზემოქმედების მექანიზმი.

მეორე თავია – “სოციალური კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში”. პირველ პარაგრაფში განხილულია სოციალური კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც არაერთგავროვნებით გამოიჩინება. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის დონე საქართველოში არცთუ მაღალ დონეზეა. ლეგატუმის მსოფლიო კეთილდღეობის ინდექსის 2017 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო მსოფლიოს 149 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა, ნიკარაგუასა და გუატემალას შორისაა. მეორე პარაგრაფში შესწავლილია ნეგატიური სოციალური კაპიტალის თავისებურებები საქართველოში. ნეგატიურ სოციალურ კაპიტალში მოიაზრება ყველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სოციალურ გაერთიანებებსა და დაჯგუფებებს ეფექტიანად და კეთილსინდისიერად ფუნქციონირებაში. ნეგატიური სოციალური კაპიტალის გამოვლინებებია: კორუფცია, ნეპოტიზმი და კრონიზმი, მექრთამეობა, მექრთამეობა, კოლექტიური ქცევა, დანაშაული და ნეგატიური არაფორმალური კავშირები, რაც გარდამავალ პერიოდში თვალსაჩინო იყო საქართველოში. მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია პუი-ს დინამიკა და სტრუქტურა საქართველოს რეგიონების, ეკონომიკის სექტორების, ძირითადი ინვესტორი ქვეყნების, ქვეყანათა ჯგუფებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით. შესწავლილია, თუ როგორი სტრუქტურისა და დონის სოციალური კაპიტალის მქონე ქვეყნების წარმომადგენლები ინტერესდებიან საქართველოს საინვესტიციო გარემოთი.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მოლიანად ეძღვნება კვლევით ნაწილს, მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მონაცემთა ანალიზს და ჰიპოთეზების შემოწმებას. აღნიშნული თავი წარმოდგენილია ორი პარაგრაფით. პირველ პარაგრაფში, „კვლევის მეთოდოლოგია“ ჩამოყალიბებულია განსაზღვრულია კვლევის მეთოდები და სტრატეგია, ახსნილია კვლევაში გამოყენებული ძირითადი ცვლადები (სოციალური კაპიტალი, პერსონალური თავისუფლება, დაცულობა/უსაფრთხოება, მარეგულირებელი სისტემა, პუი-ს წილი მშპ-ში, დანაშაულის დონე) და მათი წყაროები. 10 პოსტსოციალისტური ქვეყნის მიხედვით შეგროვილი მონაცემების ანალიზისათვის გამოყენებულია პროგრამა “STATA”. მეორე პარაგრაფში, „ჰიპოთეზების შემოწმება“ განხორციელდა ჰიპოთეზების ტესტირება, რის საფუძველზეც გამოტანილ იქნა დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

ჰ1: სოციალური კაპიტალი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

- H₀: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- H₁: სოციალური კაპიტალის განვითარება ხელს არ შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს სოციალურ კაპიტალსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მაგალითზე.¹²

ჰიპოთეზის (სოციალური კაპიტალის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე) შესამოწმებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესული ანალიზი. სადაც დამოკიდებულ (y) ცვლადად ავიღეთ პუი, ხოლო დამოუკიდებულ (x) ცვლადად კი – სოციალური კაპიტალი.

¹ The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

² Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი FDI/GDP)

	Coef.	Std.Err	P> z
SOCIAL CAPITAL	0.0127792	0.1034699	0.902
Const	4.500117	4.519716	0.319
Number of obs	110		

ფორმალური სახით რეგრესული განტოლება შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\frac{FDI}{GDP} = \beta_0 + \beta_1 SOCcap_t + \omega$$

პანელური მონაცემთა ბაზის საშუალებით განვახორციელეთ ემპირიული დაკვირვება სოციალური კაპიტალისა და პუის ნაკადებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიკვლევთ თუ რა გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალი პუი-ს ნაკადებზე. რეგრესული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი №1-ში როგორც ცხრილიდან ჩანს, სოციალური კაპიტალის გავლენა პუი-ზე არის დადებითი (coef დადებითია) თუმცა, მოცემული ცვლადის გავლენა პუი-ზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

აღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირი გადავამოწმეთ მხოლოდ საქართველოს მაგალითზე, ამასთან, კვლევაში ჩავრთეთ 1 წლიანი დროითი ლაგი, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ კაპიტალის ცვლილება დაუყოვნებლივ არ აისახება პუი-ზე. როგორც წესი, პარტნიორებს შორის ნდობის ჩამოყალიბებიდან კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებამდე რამდენიმე თვიდან 1 წლამდე პერიოდია საჭირო.

³ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

სოციალური კაპიტალისა და პუი-ს ურთიერთკავშირი დროითი ლაგის
გათვალისწინებით
(დამოკიდებული ცვლადი FDI/GDP)

	Coef.	Std.Err	P> t
SOCIAL CAPITAL	-1.172362	.710367	0.150
L₂	1.124132*	.5288117	0.078
Const	11.11559	31.83658	0.739
Number of obs	110		

როგორც ცხრილი №2 დან ჩანს, 1 წლიანი დროითი ლაგის გათვალისწინებით, სოციალური კაპიტალის პუი-ზე გავლენის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა (P=0.078) და გარკვეულწილად მნიშვნელოვანი გახდა. გამოვლინდა დადებითი კავშირი სოციალურ კაპიტალსა და პუი-ს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ სოციალური კაპიტალის ზრდა შემდეგ წლებში მნიშვნელოვნად გაზრდის პუი-ს ნაკადებს. ამრიგად, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს პუი-ზე მოქმედ არსებით ფაქტორს. სოციალური ჩართულობა და შეთანხმებულობა, ოჯახური და ნათესაური კავშირ-ურთიერთობები, პოლიტიკური ჩართულობა და ინსტიტუციური ნდობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ ხელსაყრელი საინვესტიციო ფუნდამენტის შესაქმნელად, რაც საბოლოო ანგარიშით ზრდის ქვეყანაში პუი-ს მოდინებას.

თუმცა იმისათვის, რომ სოციალური კაპიტალის ცვლილება აისახოს პუი-ზე საჭიროა გარკვეული დრო (რაც ჩვენს კვლევაში წარმოადგენს 1 წელს) პერიოდი. ეს ის დროა, რომელიც აუცილებელია ბიზნეს პარტნიორების და ინსტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბების, სოციალურ ქსელში გაერთიანების, მათ შორის საქმიანი კავშირ-ურთიერთობების გამყარების, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის მომზადებისა და ამოქმედებისათვის.

⁴ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ჰ2: პიროვნული თავისუფლება და სოციალური კაპიტალი

H0: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას;

H1: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში არ იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს პიროვნულ თავისუფლებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირის გამოვლენას. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.⁵

ცხრილი 3⁶

სოციალური კაპიტალისა და პიროვნული თავისუფლების ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (დამოკიდებული ცვლადი Social Capital)

	Coef.	Std.Err	P> z
Personal Freedom	0.941191***	.024489	0.000
Const	38.498	1.321616	0.000
Number of obs		110	

ჰიპოთეზის (პიროვნული თავისუფლების გაგენა სოციალურ კაპიტალზე) შესამოწმებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესული ანალიზი. სადაც დამოკიდებულ (y) ცვლადად ავიღეთ სოციალური კაპიტალი, ხოლო დამოუკიდებელ (x) ცვლადად კი – პიროვნული თავისუფლება.

ფორმალური სახით რეგრესული განტოლება შემდეგნაირად გამოიყურება

$$SOCcap = \beta_0 + \beta_1 PersFreedom_t + \omega$$

პანელური მონაცემთა ბაზის საშუალებით განვახორციელეთ ემპირიული დაკვირვება პერსონალური თავისუფლებასა და სოციალური კაპიტალს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოვიკვლიეთ თუ რა გავლენას ახდენს პიროვნული

⁵ Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

⁶ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

თავისუფლების დონე სოციალურ კაპიტალზე. რეგრესული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი №3-ში. პიროვნული თავისუფლება დადებით კორელაციურ კავშირშია სოციალურ კაპიტალთან (coef=0,094) და აღნიშნული ცვლადის გავლენა სოციალურ კაპიტალზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (P=0). ამრიგად, ნულოვანი ჰიპოთეზა: პიროვნული თავისუფლების მაჩვენებლის გაუმჯობესება სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას - მხარდაჭერილია.

ჰ3: პიროვნული თავისუფლება, დაცულობა-უსაფრთხოება და სოციალური კაპიტალი

H₀: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არსებობს დადებითი კავშირი;

H₁: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებას და სოციალურ კაპიტალს შორის არ არსებობს დადებითი კავშირი.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.⁷

აღნიშნული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$soccap_{it} = \beta_0 + \beta_1 persfree_{it} + \beta_2 security_{it} + \omega_{it}$$

მოცემული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ პერსონალური თავისუფლებისა და დაცულობა-უსაფრთხოების გავლენას სოციალურ კაპიტალზე.

⁷ Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

სოციალური კაპიტალის, დაცულობა-უსაფრთხოებისა და პიროვნული თავისუფლების ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი Social Capital)

	Coef.	Std.Err	P> z
Personal Freedom	.0526635*	.0317786	0.097
Security	.1323801**	.0659501	0.045
Const	31.94331	3.516004	0.000
Number of obs	110		

ცხრილი №4-დან ჩანს, რომ ორივე ცვლადი – დაცულობა და უსაფრთხოება და პიროვნული თავისუფლება, დადებით გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე (Coef>0), თუმცა, ამ ცვლადების სტატისტიკური მნიშვნელობა არის საშუალო. ამიტომ, ჰიპოთეზა ნაწილობრივ მხარდაჭერილად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჰ4: პიროვნული თავისუფლება, დაცულობა-უსაფრთხოება და პუი

H₀: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი;

H₁: პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და პუი-ს შორის არ არსებობს დადებითი კავშირი.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ პიროვნულ თავისუფლებას, დაცულობა-უსაფრთხოებასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.⁹¹⁰

აღნიშნული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 persfree_{it} + \beta_2 security_{ti} + \omega_{ti}$$

⁸ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

⁹ Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

¹⁰ The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

აღნიშნული განტოლების საშუალებით ვაანალიზებთ პერსონალური თავისუფლებისა და დაცულობა უსაფრთხოების გავლენას პუი-ზე.

ცხრილი 5¹¹

პიროვნული თავისუფლების, დაცულობა/უსაფრთხოებისა და პუი-ს ურთიერთკავშირი
პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი FDI/GDP)

	Coef.	Std.Err	P> z
Personal Freedom	.0465462	.0380769	0.222
Security	-.073322	.0791738	0.354
Const	7.443437	4.222392	0.078
Number of obs		110	

ცხრილი №5-დან ჩანს, რომ ორივე ცვლადი – დაცულობა და უსაფრთხოება და პიროვნული თავისუფლება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და ამხსნელი ცვლადების გავლენა პუი-ს მოზიდვაზე უმნიშვნელოა. ამრიგად, ჰიპოთეზა არ არის მხარდაჭერილი. მიუხედავად იმისა, რომ ამხსნელი ცვლადები პირდაპირ გავლენას ვერ ახდენენ პუი-ს ნაკადების ზრდაზე, ისინი არაპირდაპირი გზით მაინც მოქმედებენ მასზე, ვინაიდან, წინა ჰიპოთეზებმა გვაჩვენა, რომ პიროვნული თავისუფლებისა და დაცულობა/უსაფრთხოების მაღალი დონე ზრდის სოციალურ კაპიტალს, ხოლო სოციალური კაპიტალის დონის ამაღლება კი ხელს უწყობს პუი-ს ნაკადების ზრდას (დროითი ლაგის გათვალისწინებით).

ჰ5: დანაშაულის დონე და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

H0: დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს ნეგატიური კავშირი;

H1: დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს დადებითი კავშირი.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს დანაშაულის დონესა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-

¹¹ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 6 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.¹²¹³

მოცემული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 crime_{ti} + \omega_{ti}$$

აღნიშნული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ დანაშაულის დონის გავლენას პუი-ზე.

ცხრილი 6¹⁴

დანაშაულის დონისა და პუი-ს ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი FDI/GDP)

	Coef.	Std.Err	P> z
Crime	-.1502716***	.0370359	0.000
Const	9.492564	1.404184	0.000
Number of obs	110		

ცხრილი 6-დან ჩანს, რომ დანაშაულის დონე არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და პუი-ს მოზიდვაზე ახდენს ძლიერ გავლენას. დანაშაულის დონის ზრდა ამცირებს პუი-ს ნაკადების შემოდინებას და პუი-ს მოზიდვაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ჰიპოთეზა “დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის არსებობს ნეგატიური კავშირი” - მხარდაჭერილია.

ჰ6: მარეგულირებელი სისტემა და სოციალური კაპიტალი

H0: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე;

H1: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე.

¹² NUMBEO, Crime, 2012-2017, <https://www.numbeo.com/crime/> (ნანახია 19.10.2018)

¹³ The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

¹⁴ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს მარეგულირებელ სისტემასა და სოციალურ კაპიტალს შორის კავშირის გამოვლენას. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.¹⁵

აღნიშნული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$soccap_{ti} = \beta_0 + \beta_1 Gov_{ti} + \omega_{ti}$$

მოცემული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის გავლენას სოციალურ კაპიტალზე.

ცხრილი 7¹⁶

სოციალური კაპიტალისა და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი Social Capital)

	Coef.	Std.Err	P> z
Gov.	.1403548***	.0229551	0.000
Const	37.11067	1.070779	0.000
Number of obs		110	

ცხრილი 7-დან ჩანს, რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე ახდენს ძლიერ გავლენას. ამრიგად, ჰიპოთეზა “პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა დადებითად მოქმედებს სოციალურ კაპიტალზე” - მხარდაჭერილია.

¹⁵ Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

¹⁶ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

ჰ7: მარეგულირებელი სისტემა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

H0: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე;

H1: პუი-ს მიმღები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა მოქმედებს დადებითად პუი-ზე.

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ითვალისწინებს მარეგულირებელ სისტემასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის კავშირის გამოვლენას, აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოვიკვლიეთ დანაშაულის დონესა და პუი-ს შორის კავშირი. ჩვენს კვლევაში ასახულია 10 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ბოლო 11 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.¹⁷¹⁸

აღნიშნული მონაცემები შევამოწმეთ რეგრესული განტოლებით, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$FDI/GDP_{ti} = \beta_0 + \beta_1 Gov_{ti} + \omega_{ti}$$

მოცემული განტოლების საშუალებით შევისწავლით და ვაანალიზებთ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის გავლენას პუი-ზე.

ცხრილი 8¹⁹

პუი-ს და სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემის ურთიერთკავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
(დამოკიდებული ცვლადი FDI/GDP)

	Coef.	Std.Err	P> z
Gov.	.256561**	.0288882	0.053
Const	4.076343	1.36591	0.003
Number of obs	110		

ცხრილი 8-დან ჩანს, რომ სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პუი-ს მოზიდვის საკითხში და ახდენს სუსტ, თუმცა

¹⁷ Legatum Prosperity Index, 2007-2017, <https://www.prosperity.com/> (ნანახია 20.10.2018)

¹⁸ The World Bank Data, Foreign direct investment, net inflows (% of GDP), <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS> (ნანახია 20.10.2018)

¹⁹ გაანგარიშებები გაკეთებულია პროგრამაში STATA

დადებით გაავლენას. გამართული სახელმწიფო მარეგულირებელი სისტემა უმნიშვნელოდ ზრდის პუი-ს ნაკადების შემოდინებას. ამრიგად, ჰიპოთეზა, რომ “პუი-ს მიმდები ქვეყნის გამართული მარეგულირებელი სისტემა უარყოფითად მოქმედებს პუი-ზე” - მხარდაჭერილი არ არის, თუმცა აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი სისტემის მაღალი დონე არაპირდაპირ, დადებით გაავლენას მაინც ახდენს პუი-ს ნაკადების ზრდაზე, ვინაიდან იგი ზემოთ დამტკიცებულმა ჰიპოთეზამ გვაჩვენა, რომ მარეგულირებელი სისტემის მაღალი დონე ზრდის სოციალურ კაპიტალს, ხოლო სოციალური კაპიტალის დონის ამაღლება კი ხელს უწყობს პუი-ს ნაკადების ზრდას (დროითი ლაგის გათვალისწინებით).

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია პრაქტიკული და თეორიული მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები. გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრებები საქართველოში სოციალური კაპიტალის, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის, დაცულობა-უსაფრთხოების დონის ამაღლების, ნეგატიური სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების აღმოფხვრის, პუი-ს შემომავალი ნაკადების ზრდისა და სტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე.

პიროვნული თავისუფლების მაღალი ხარისხი, დაცულობის და უსაფრთხოების განცდა, დემოკრატიული საზოგადოება, ეფექტიანი და მოწესრიგებული მთავრობა, გამართული სამართლებრივი სისტემა, სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობას და ამცირებს პოლიტიკურ რისკებს, ზრდის სოციალური კაპიტალის დონეს, ნდობას საზოგადოების წევრებს შორის, მათ მონაწილეობას სოციალურ და საქმიან ქსელებში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ინვესტორებისათვის დადებითი იმპულსების შემქნელია და გარკვეული პერიოდის შემდეგ (1 წელი) პუი-ის ნაკადების ზრდას განაპირობებს.

გამოქვეყნებული შრომები:

კვლევის შედეგები წარდგენილია შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებზე:

- მე-13 საერთაშორისო კონფერენცია სოციალურ მეცნიერებებში (ICSS XIII), 6-7 ოქტომბერი, 2017, ვენა, ავსტრია, მოხსენება- “სოციალური კაპიტალის ზემოქმედება პუი-ზე საქართველოში”.
- ინფორმატიკის საერთაშორისო სკოლა (ISI) 2018 - ITHEA, 1-7 ივლისი, 2018, ვარნა, ბულგარეთი, მოხსენება – “ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა განვითარებადი ქვეყნების სოციალურ კაპიტალსა და პუი-ზე”.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის ამსახველი სტატიები გამოქვეყნებულია შემდეგ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში:

1. “Impact of Information Technologies on Social Capital and Foreign Direct Investments in Developing Countries”, mag. Information Theories and Applications, Vol.25, Number 2, Oct. 2018 (ISSN 1310-0513), p.181-189 ;
2. “The Impact of Social Capital on FDI in Georgia”, European Journal of Economics and Business Studies, Sep. Dec. 2017 Vol. 9, Nr. 1 (ISSN 2411-9571 (Print) ISSN 2411-4073 (online) p.17-24;
3. “შავი ფულის გათეთრების ზემოქმედება სოციალური კაპიტალის ფორმირებასა და პუი-ს მოზიდვაში”, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ფინანსური აღრიცხვა“ (ACCA), იან. 2018, Nr. 1 (252), (ISSN 1512-0805) გვ. 32-36 (თანაავტორი);
4. “სოციალური კაპიტალის ფუნქციონირება საქართველოში: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები”, ეკონომიკა და ბიზნესი, (Nr. 2, 2018, ISSN 1987-5789) გვ. 66-76.